

შპს-ის სპონსორი შპს-ის სპონსორი

მიმდინარე მოვლენებმა პირდაპირი დარტყმა ბიზნესზე მოახდინა

ვისაც კი ბორჯომ-პარკში გაუვლია, შეუძლებელია პლატოს აღმართად გზის პირად მდგარი სასტუმრო „ალმა-აბა“ არ შეენიშნოს. სასტუმრო 10 წელია არსებობს და მას ადგილობრივი ბიზნესმენი, ბატონი **ზურაბ აზარაშვილი** ხელმძღვანელობს. სასტუმროს პირველ სართულზე, ბატონმა ზურაბმა ფართი გამოყო და რამდენიმე თვეა, აქ საკონდიტრო საცხობი გახსნა, სადაც ოთხი ადგილობრივი ქალბატონი ჰყავს დასაქმებული და შესანიშნავ და გემრიელ საკონდიტრო ფუნთუშებს აცხობენ. სამსახუროდ, სასტუმრო ისეთ ადგილზე მდებარეობს, სადაც ზაფხულის პერიოდში ხმაურიანი საუკუნოსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს და არც წლევანდელი წელია გამონაკლისი. სასტუმროსაკენ გზად მიმავალმა მდინარე ბორჯომულას ნაპირზე მდგარი ტექნიკა მეც შევიხივე, იმ მომენტში გაჩერებული, თუმცა, როგორც ბატონმა ზურაბმა გვითხრა, აღნიშნული ტექნიკის ხმაურიანი მუშაობა მათთან მოსული სტუმრებისათვის, რა თქმა უნდა, ხელისშემშლელი ფაქტორია. უცხო ადგილზე ჩამოსულ სტუმრის მყუდრო გარემო სჭირდება და თუ ის არ ხვდება, მიდის და უფრო მეტად მყუდროდ დასასვენებელ სივრცეს სხვაგან ეძებს.

„ალმა აბას“ ხელმძღვანელს, ბატონ ზურაბ აზარაშვილს მისი ბიზნესის ირგვლივ არსებულ საკითხებზე სასაუბროდ ვენვივ:

ბატონო ზურაბ ტურისტული სეზონი ბორჯომში დაიწყო. თქვენ სასტუმროს რამდენი ნომერი ფუნქციონირებს და ახლა რამდენი მათგანია დაკავებული?

- ძალიან ცუდი სიტუაციაა, ჩემი სამსახუროდ სასტუმროს არც ერთი ნომერი არ არის დაკავებული.

მიზეზი რა არის ბატონო ზურაბ?

- ქვეყანაში მიმდინარე სიტუაციამ არასახარბიელო დარტყმა მიაყენა ქვეყანაში არსებულ ყველა ტიპის ბიზნესს, მათ შორის სასტუმროებსაც. ტურისტების შემოდინება ფაქტურად აღარ ხდება, რაც ძალიან სამსუხაროა. როდესაც დამსვენებელი გყავდათ, ძირითადად რომელი ქვეყნის ნარმომადგენლები გსტუმრობდნენ?

- უფრო ხშირად რუსი ტურისტები გვყავდნენ და სამსუხაროდ, დღეს ისინიც არ არიან.

არც წინასწარი ჯავშნები არ გქონიათ?

- გვქონდა, თუმცა რაც ქვეყანაში არსებული სიტუაცია ასე დაიძაბა, ძალიან რთული ვითარება შეიქმნა, მას მერე ველარ ვშუბაობთ. რამდენიმე დღის წინ 4 ნომერზე იყო ჯავშანი, დაახლოებით 12 ადამიანზე. მოგეხსენებათ, მდინარე ბორჯომულას კალაპოტის მონესრიგება აქტიურ ფაზაშია და როდესაც ასეთი ხმაურია,



უარი თქვენს და ჯავშნები გააუქმეს. არც გზების რეაბილიტაციაა ხოლმე გამოაკლისი, რომელსაც მაინცდამაინც ზაფხულის პერიოდში გვამთხვევენ ხოლმე და მტვერი, ბუდი და სრული ანტისანიტარია არის ჩვენი სასტუმროს მიმდებარედ, ამიტომაც არავის აღარ უნდა ხმაურში დასვენება.

კიდევ რა სახის პრობლემების წინაშე დგახართ?

- პრობლემები უამრავია, თუმცა რაც დღემდე მოუგვარებელია ესაა, მანქანების სიმრავლე, რომლითაც ტურისტები დაყავთ, ფაქტიურად დამსვენებელი ვერ ახერხებს მანქანის გაჩერებას. ეს მანქანები მხოლოდ გუმინ ან დღეს ხომ არ დადიან? უკვე წლებია ასეა და არავინ ჩვენი პატრონი არაა.

რომ სასტუმროში დამსვენებელი არ გყავთ, რამდენიმე თვეა სიახლე გაქვთ. ახალი კვების ობიექტი გახსენით, მცირე ზომის საცხობი. რას ამზადებენ თქვენ საცხობში?

- გავრისკე და კრედიტი ავიღე, რათა საცხობი გამეხსნა, შევიძინე ახალი საცხობი ლუმელი, რომელიც თანამედროვე დანადგარია და მას თავისებური გამოყენება სჭირდება. რაც შეეხება პროდუქციას, ამზადებენ პურ-პუნთუშეულს, არა მალფუჭებად ნამცხვრებს, ასევე ხაჭაპურს, ლობიანს.

ასეთი სახის ბიზნესში კონკურენციაც მაღალია და მითუმეტეს, ორ ნაბიჯში გვერდითაც საცხობია. როგორია თქვენთან ფასები?

- იმ ფონზე, რომ ყველაფერი გაძვირებულია, ვცდილობთ, რომ ყველაფერი ხელსაყრელი იყოს. ფასებიც ხელმისაწვდომია. თუკი გვერდით საცხობში 4 ლარი ღირს ხაჭაპური, ჩვენთან 3,50 ლირს, ლობიანი თუკი იქით 3.50 ლირს, ჩვენთან 3 ლარია. ასევე კულიჩი, თუკი სხვაგან 3.50-ია ჩვენთან 3 ლარია. ფასები ნამდვილად მისაღებია.

კიდევ რა სახის პრობლემებს ხედავთ აღნიშნული საკითხების მიმართულებით?

- ძალიან დიდი პრო-

ბლემებია საერთოდ ტურისმის მიმართულებით. ვთვლი, რომ ბორჯომში ტურისტული ქალაქი აღარაა, მხოლოდ პარკში სიარული და მინერალური წყლის სმა არაა ტურისმი. საერთოდ სასამელ და გამოსაყენებლად საჭირო მტკნარ წყალზეა დიდი პრობლემა, სასტუმროებში წყლის დეფიციტია, ცისტერნებით მიაქვთ დიდ სასტუმროებს, ვერ ვიტყვით, რომ რაღაც არ კეთდება, კი ბოლო წლების მანძილზე გაკეთდა ბევრი რამ, თუმცა ქუჩები იმ სიხშირით არ ირეცხება, რა სიხშირითაც უნდა ირეცხებოდეს. ვიცი, რომ ბორჯომის საბაგიროც წლებია კერძო პირი ფლობს, თუმცა 30 ლარი რომ ღირს მხოლოდ ერთი მიმართულება, რა გინდა დამსვენებელმა გააკეთოს? ან კიდევ 5 ლარი რომ ღირს პარკში შესვლა? მგონია, რომ ერთი კოსტავას ბაღია უფასო და წელს დამსვენებლებს უმეტესობა იქ მოიყრის თავს და ალბათ, მომავალში ისიც ფასიანი გახდება.

სამსუხაროდ, ბორჯომში ტურისტული სეზონი ჯერჯერობით არაორგანიზებულად და დიდი პრობლემებით დაიწყო.

ესაუბრა ნაზო მელიქიძე

ქარანაღის სეზონი

ვიწოდებ...
ხალხი...



ვერასდროს წარმოვიდგინებ, თუ ახლოვდები ადამიანებს შეეძლოთ ბუნებაში არ არსებულ, ფიქრადაც რომ არასდროს გაიკვლიდა ის ეთქვათ შენთვის. მაგრამ თურმე ასეც ხდება...

როგორ გაუფასურდა ადამიანური ურთიერთობები, სადაც არ უნდა მიხედო, ყველაფერ ერთმანეთთან რას ვერ იყოფენ, ვერ გამოიგია. ვინც, მიცნობს იცის, რომ ფარულად და ზურგს უკან არაფერს არასდროს ვუვაკეთებ. შემიძლია ვუთხრა ადამიანს, რაც არ მომწონს და ზურგს უკან აღარ დავიწყო საუბარი.

ძალიან ბევრჯერ შევსწრებივარ უსამართლო დამოკიდებულებას ადამიანთა მიმართ, ზოგჯერ საკუთარ თავზეც გამომიცდია. მიფქრია, ნეტავ რომელი სასწორით საზღვრავდნენ გადანყვეტილებებს. ხმამაღლად მითქვამს, რომ მე მათ ადგილას ასე არასდროს მოვიქცეოდი. დრო, თვითონ აჩვენებს ხშირად ვინ დგანან რეალურად ჩვენს გვერდით. არსდროს არავის ვუსურვებ ცუდს, ან კიდევ სხვისი წარმატება, როგორ არ უნდა გიხაროდეს, შემდეგ კანონზომიერება უკან გიბრუნებს სხვის სიხარულს, რომ გულწრფელად იზიარებ. იმდენად სხვა თვალთა ალკივამ ადამიანთა ქცევებს და მოქმედებს ხშირად ვფიქრობ, როგორ არ მინდა ვხვდებოდე, რატომ ან რისთვის აკეთებენ ამას. თვალის დახუჭვას ამჯობინებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას მიიღებ და ამიტომ?!

XXI საუკუნეში ბაბუის შეგონება, რომელიც მხოლოდ კეთილგანწყობაზე იყო დაფუძნებული, და ვინც იცნობდა, მითხრეს, რომ მას ვგავარ, დღეს საერთოდ გაუფასურებულია. აღარ სურთ, არჭირდებათ, კარგს რომ უსურვებ, მთელი გულით შეუძლიათ მოგიბრუნდნენ და გითხრან, ჩემთვის ცუდი გისურვებიაო.

არ ვიცი, დღეს ვის სჭირდება სიმართლე, იქნებ ის ბუნებაში არარსებული ბრალდება უჩვენიათ და ასეთი ადამიანები, მაგრამ ეს წარმოსახვა, ფიქრებიც გონებებიდან და გულშიდან მოდის, სხვა შემთხვევაში, ისე ვერ გამოიტან გარეთ. **იზა იანვარაშვილი**

სიფრული ტექნოლოგიები და თანამედროვე აღაშიანი

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ციფრულმა ტექნოლოგიებმა ღრმად შეცვალა ადამიანური საზოგადოების სტრუქტურა. ინტერნეტის გარიჟრაჟიდან დაწყებული ხელოვნური ინტელექტისა და მანქანათმშენებლობის ამჟამინდელ ეპოქამდე, ციფრული ხელსაწყოების ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტეგრაცია ხელახლა განსაზღვრა თუ როგორ ურთიერთობენ ადამიანები, მუშაობენ და აღიქვამენ მათ გარშემო არსებულ სამყაროს.

ტეგრაციის სარგებელი გაძლიერებული კომუნიკაცია და დაკავშირება ციფრულმა ტექნოლოგიებმა მოახდინა რევოლუცია კომუნიკაციაში, გახდა ის მყისიერი და უსაზღვრო. სოციალური მედიის პლატფორმები, მეტყობინებების აპლიკაციები და ვიდეო კონფერენციის ხელსაწყოები იძლევა რეალურ დროში ურთიერთქმედებას, გეოგრაფიული განხეთქილების გადალახვას და გლობალური თემების ხელშეწყობას. ამ კავშირმა არა მხო-

ბებს, რაც საშუალებას აძლევს ინდივიდებს შეიძინონ ახალი უნარები და ცოდნა მათი მდებარეობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად. ამ ხელმისაწვდომობამ ხელი შეუწყო უფრო ინფორმირებულ და განათლებულ გლობალურ მოსახლეობას. ციფრულმა ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო ეკონომიკურ ზრდას და ინოვაციას. ელექტრონული კომერციის პლატფორმებმა, როგორცაა Amazon და Alibaba, მოახდინეს რევოლუცია სა-



უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გამოწვევები. ინტერნეტში გაზიარებული პერსონალური მონაცემების დიდმა რაოდენობამ გააძლიერა შემოთავაზებული მონაცემთა დარღვევის, პირადობის მოპარვისა და მეთვალყურეობის შესახებ. კომპანიები და მთავრობები აწყდებიან მომხმარებლის მონაცემების დაცვის მუდმივ გამოწვევას გამჭვირვალობისა და უსაფრთხოების საჭიროების დაბალანსებისას.

სოციალური მედიაგების მართვისთვის. თანაბარი წვდომის უზრუნველყოფა, კონფიდენციალურობის დაცვა და ციფრული ნიგნიერების ხელშეწყობა არსებითი იქნება მომავალი გამოწვევების გადასაჭრელად. პოლიტიკის შემქმნელებმა, ტექნოლოგიებმა და ზოგადად საზოგადოებამ უნდა ითანამშრომლონ ციფრული ინოვაციების პოტენციალის გამოსაყენებლად, მათი რისკების შესამცირებლად.

სტატიაში გააცნობთ რთულ ურთიერთობებს ციფრულ ტექნოლოგიებსა და თანამედროვე ადამიანებს შორის, შევისწავლით ამ სიმბიოზური ევოლუციის სარგებელს, გამოწვევებს და მომავალ შედეგებს. ციფრული რევოლუცია მე-20 საუკუნის შუა წლებში დაიწყო კომპიუტერების გაჩენით, მაგრამ მან უპრეცედენტო იმპულსი მოიპოვა 1990-იან წლებში ინტერნეტის ამალგებით. 2000-იან წლებში სმარტფონების გავრცელებამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი გამოავლინა და ციფრული გადატრიალება გამოიწვია. დღეს ციფრული ტექნოლოგიები მოიცავს ინოვაციების ფართო სპექტრს, მათ შორის ხელოვნური ინტელექტს (AI), ბლოკჩეინ ფონები (IoT), სალოკრის და ვირტუალურ რეალობას (VR), ყველა მათგანი შეუფერებლად არის გადაჯაჭვული ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. ციფრული ინ-



ლოდ შეცვალა პირადი ურთიერთობები, არამედ ხელი შეუწყო საერთაშორისო თანამშრომლობას ბიზნესში, განათლებასა და კვლევაში. ინტერნეტი ახდენს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დემოკრატიზაციას, სთავაზობს ცოდნის უპრეცედენტო საცავს ხელზე. ონლაინ საგანმანათლებლო პლატფორმები, როგორც Coursera, Khan Academy და edX, იძლევა უწყვეტი სწავლის შესაძლებლო-

ფინტექს ინოვაციები, როგორცაა მობილური ბანკინგი და კრიპტოვალუტები ცვლიან ფინანსურ სისტემებს. სტარტაპები, რომლებიც იყენებენ AI-ს, blokCeins და IoT-ს არღვევენ ტრადიციულ ინდუსტრიებს, ქმნიან ახალ ბაზრებს და სამუშაო შესაძლებლობებს. გამოწვევები და შემოფთება, კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება ციფრულმა ეპოქამ წამოიწყო კონფიდენციალურობისა და

ციფრულ ტექნოლოგიებზე დამოკიდებულებამ, კიბერბუნიტობამ და ონლაინ პერსონის შენარჩუნების ზენოლამ შეიძლება ხელი შეუწყოს შფოთვის, დეპრესიას და სხვა პრობლემებს. ციფრულ ჩართულობასა და რეალურ სამყაროში ურთიერთქმედებებს შორის ბალანსის დამყარება გადამწყვეტია გონებრივი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, მათი გავლენა ადამიანის ცხოვრებაზე ღრმავდება. თუმცა, მომავალი ასევე მოითხოვს გაზრდებულ მიდგომას ციფრული ტექნოლოგიების ეთიკური და

ქაქუცაძე ნარალიძე, XI კლ ჭობისხევის საჯარო სკოლა.

50 წელი მიწისქვეშეთში

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის დადგენილებით გამოჩენილ მეცნიერებს სახელობითი აკადემიური პრემია მიენიჭათ, მათ შორის: ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს **ქაქაბერი ნიქარაძეს**, უფროს მეცნიერ-თანამშრომელს **ზაზა ლაქაძეს**, უფროს მეცნიერ-თანამშრომელს **ლევან ჯანაშიას** ნაშრომისათვის „საქართველოს ბაქტერიული კარსტი“.

კუკური ნიქარაძე დიდი ხანი ბორჯომელია. საშუალო სკოლა ბორჯომში, ხოლო 1973 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და მოხალისეობით დაინიშნა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა პრობლემური საკითხებისადმი კრიტიკული მიდგომებით. ჯერ კიდევ მეორე კურსის სტუდენტმა დიდი დაინტერესება გამოავლინა კარსტული მღვიმეებისადმი. მისი პირველი სპელეობრეექტი იყო ახალი ათონის ჯერ კიდევ სრულიად უცნობი, ტალახიანი, მოუწყობელი გიგანტური ზომის (1,5 მილიონი კუბურ მეტრის მონისქვეშა სიღრმის). სადიპლომო ნაშრომში მღვიმეში უშუალოდ მის მიერ მოპოვებული სამწლიანი სტაციონარული მიკროკლიმატური კვლევის შედეგები იყო წარმოდგენილი, რასაც შემდგომში მოჰყვა ათობით სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია და ამავე მღვიმის კეთილმოწყობის სამუშაოებითი ექსპედიცია.

ბატონმა კუკური ნიქარაძემ სადისერტაციო ნაშრომი მიუძღვნა „საქართველოს კარსტული მღვიმეების კლიმატი, მათი მორფოლოგიისა და რეგიონის ლანდშაფტის თავისებურებებთან დამოკიდებულებას“ (ხელმძღვანელი პროფესორი ზურაბ ტაბაიძე). ამ ნაშრომმა შემდგომი განვითარება ჰპოვა გეოგრაფიული მეცნიერების ახალ მიმართულებაში - სპელეოკლიმატოლოგიაში. ახალგაზრდა მეცნიერის მიერ ჩატარებული მრავალწლიანი კვლევის შედეგებით დადგინდა საქართველოს მთიანი კარსტული მღვიმეების კლიმატური რეჟიმის ძირითადი კანონზომიერებანი. დამყარდა კავშირი

მინისქვეშა მეტეოლოგიური ბუნება და გარემომცველი ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ფაქტორებს შორის. ჩამოყალიბდა კონცეფცია მღვიმეთა კლიმატზე, ჰივრომეტრიული ფაქტორის გავლენის შესახებ, 2009 წელს მის მიერ შეიქმნა და დაიხვეწა საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი.

ბატონმა კუკურმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგიური ჯგუფის მიერ 1984 წელს წყალტუბოში აღმოჩენილი „პრომეთეს“ მღვიმური სისტემის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, რომელიც დღეს ევროპის ერთ-ერთ პოპულარულ და თანამედროვე სტანდარტულ დონეზე კეთილმოწყობილ სპელეოტურისტულ ობიექტადაა აღიარებული.

მეცნიერული კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო აფხაზეთის, სამეგრელოს, რაჭის და იმერეთის უცნობი „თეთრა“, „ნავენახარი“, „სანურბლია“ და სხვა მღვიმეების შესწავლას.

მნიშვნელოვანი ეკონომიკური სარგებელი მოაქვს სახელმწიფოსათვის სპელეოტურისტულ, სპორტოთერაპიულ, ღვინის სადემონსტრაციო დარბაზებს, სასოფლო-სამეურნეო და სხვა დარგებისათვის მღვიმეების პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.

ბატონი კუკური ნიქარაძე ვილი არის საქართველოს კარსტული ზოლის დაბალი და მაღალმთიანი კორექული მასივების 400-ზე მეტი რთული მორფოლოგიის მქონე კარსტული ობიექტების პრუქტების ხელმძღვანელი და თემატური გეგმების ძირითადი შემსრულებელი, 2011-2013 წლებში მონაწილეობდა დიდ ბრიტანეთში არსებულ „რუფორდის



ფონდის“ მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო პროექტებში, რომელიც ითვალისწინებდა იმერეთის რეგიონში არსებული მღვიმეების კვლევას, ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი თვითმეგობრების ამაღლებას.

2016 წელს მონაწილეობა მიიღო სლოვაკეთის რესპუბლიკის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს პროექტის რეალიზაციაში, რომელიც ითვალისწინებდა ქალაქ ჭიათურის და მისი რეგიონის დასახლებული პუნქტების წყალმომარაგებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტას.

ბატონი კუკური ნიქარაძე ვილი არის 200-ზე მეტი სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომის, ქართული და ინგლისური ენებზე გამოქვეყნებული 15 მონოგრაფიის ავტორი.

ზემოთ აღნიშნული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტის მიერ მიანიჭებული პრემია პირველი არაა, ჯერ კიდევ 2019 წელს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ კუკური ნიქარაძე ვილი თანაავტორებთან ერთად დაჯილდოვდა საპატიო სიგელით ნაშრომისათვის „საქართველოს ბაქტერიული კარსტი“. აღიარებული მეცნიერი აგრძელებს მუშაობას მთიანი მხარეების სპელეოკლიმატური და კარსტო-სპელეოგენების პრობლემებზე.

ვულოცავთ ღვაწლმოსილ მეცნიერს დამსახურებულ ჯილდოს და უსუსურებთ მომავალში ნაყოფიერ საქმიანობას.

პალაიან ლომიძე

მალაიკა მოსწავლის წაჩილი

მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კამპანიის ფარგლებში, ერთი კვირის მანძილზე საქართველოში არსებული სხვადასხვა სკოლის პირად გვერდზე უამრავი სახის აქტივობები, ფოტო, ვიდეო თუ წერილობითი მასალები გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში. პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ბორჯომის №1 საჯარო სკოლის V8 კლასის მოსწავლის, ნინა ლვინიაშვილის წერილმა, რომელიც მან კლასის ხელმძღვანელს, ქართველი ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ქალბატონ ლინა ბულიაშვილს მისწერა. დარწმუნებული ვარ, მოსწავლის გულწრფელი წერილი არც ჩვენ მკითხველებს დატოვებს გულგრილს:

წაჩილი მოსწავლეს!



არ ვიცი, წერილის წერა როგორ დაიწყებდა, ან საიდან დაიწყო, ლია მასწავლებელი, უზომოდ შემიყვარდი, როდესაც გახდით ჩემი დამრიგებელი და მასწავლებელი. ძალიან კარგად მახსოვს პირველი დღე, როგორ ელვანტურად ჩაცმული იყავით და საუბარზე თქვენზე უფრო მეტი გეგონათ, მივხვდი, რომ წესრიგი ძალიან გიყვართ, ყველაზე ძალიან ის მომწონს, რომ ბავშვები ძალიან გიყვართ. ლაშქრობაზე რომ წავიდათ, დიდი გზის გავლა ფეხით მოგვინია და უფრო უკეთესად გავიგე როგორი ადამიანი იყავით. მიყვარს ჩვენი კლუბური მუშაობა და ამიტომ ოთხშაბათი ძალიან მიყვარს, კლუბში ვმუშაობ სხვადასხვა აქტივობებში, რაც ძალიან გასწავლითარებელი შეგახდინა და მოტივაციის ამაღლებაში, ასევე გვიჩვენებთ მიკუთვნებულობის, თანადგომისა და ემპათიის გრძობა, რაც გვაძლევს საშუალებას, ბავშვები ერთი ოჯახივით ვიყოთ, ვსწავლობთ ერთმანეთის გატანასა და დაფასებას! არასდროს დამავიწყდება საჩხერე-ჭიათურის ექსკურსია, დედასავით მაქცევდით ყურადღებას, რაც ძალიან მსიამოვნებდა, მზარული და ბედნიერი ექსკურსია იყო. ძალიან თბილი და მოსიყვარულე იყავით, თქვენთან ნებისმიერ თემაზე შეგვიძლია საუბარი, რადგან თქვენ ყველაფერს კარგად გვიხსნი და ყველაფერს გვიგებთ. უსაყვარლესი ადამიანი ბრძანდებით, ამიტომ თქვენთან გატარებული ყოველი წამი ჩემთვის მნიშვნელოვანია, მინდა, რომ ყველა მასწავლებელი თქვენნაირი გაგებული იყოს.

ლია მასწავლებელი, ღიმილი ძალიან გიხდებათ, თქვენზე უფრო ხასიათი გაქვთ, დიდთან დიდი ხართ, პატარასთან - პატარა; იცით, როგორ უნდა მოეპყროთ ბავშვებს სწორად. სულ გვარიგებთ, გვირჩევთ, გვასწავლით, რა არის კარგი და რა არა! თქვენნაირი ადამიანის და მასწავლებლის ყოლა ცხოვრებაში ძალიან დიდი ბედნიერებაა! კარგი მასწავლებელი, როგორც თქვენ ხართ, არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც ძალიან ცოცხა შემორჩენილი, კეთილი, ყურადღებიანი და უზომოდ განათლებული პედაგოგი ხართ; ვიცი, ამ წერილს რომ წაიკითხავთ, გაგახარდებათ და გაიღიმიებთ!

თქვენი ნიქაო ლვინიაშვილი, V8 კლასი. 02.06.2024 წ.

მომამზადა ნატო მელიქიძე

ზიხოვით ჩვენი ხეობის ისტორია

როგორი იყო ბორჯომის ხეობა 200 წლის წინათ?

მეფის რუსეთის ხელისუფლება ანექსირებული საქართველოს მართვა-გამგებლობას დამოუკიდებლად, საკუთარი შეხედულებების მიხედვით განაგრძობდა და ქართველთა არსებობა არ ითვალისწინებდა. ამიტომაც იყო, რომ ქართველ მეფეთა მიერ თავდაზნაურთა სახელზე გაცემულ სიგელ-გურჯავს ფარატიანა ქალაქი და თვლიდნენ და იურიდიულ დოკუმენტად არ მიიჩნევდნენ.

ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს 1819 წელს მთავარმათებლის ერმოლოვის სახელზე გაგზავნილი ავალიმვილების წერილი (საიდანაც დასტურდება, რომ ხეობისათვის „ბორჯომის“ სახელწოდება პირველად 1819 წელს გაჟღერდა დოკუმენტურად). როგორც ცნობილია, ავალიმვილები ფლობდნენ მტკვრის ხეობის ტერიტორიას ტაშისკარიდან აწყურამდე ლეკ-აზრბაგების და ახალციხის საფაშოს ასკერების ხშირი თავდასხმების გამო ადგილობრივ მოსახლეობას ნორმალური ცხოვრება აღარ შეეძლო და ავალიმვილებმა ისინი ბრეტში დროებით ჩაასახლა. ერმოლოვის სახელზე მიწერილ წერილში ავალიმვილები იუწყებიან, რომ „ძველთაგან ჰქონდათ ნაბობები საჩუქრად ერთგულებისათვის და ნამსახურებისათვის წინაპართა - პაპათა და მამათა ჩვენთა. ეს მამული შეიცავს ყოვლის მხრით სამართლიანსა და სამძღვარსა თვისსა შეუცვლელად, იმავე მდგომარეობით, როგორც დადგინდა დროს ქართველ მეფობისას, რომლითაც ყოველ ჟამს უსარგებლობათ მათ და ვსარგებლობთ ჩვენც დღევანდლამდინ, ძალითა ბოძებულსა წყალობისა წერილობითა ჩვენ მიერ ქონებულთა“.

ამის შემდეგ, რაც ბორჯომში მინერალური წყალი ხელმეორედ აღმოაჩინეს და ხეობის ბუნებას გემო გაუსინჯეს, ხეობა რუსეთმა რომ იტყვიან, „ჩაღის ფსად“ ჩაიგდო თელში, ხოლო ავალიმვილებს საარსებოდ პენსია დაუნიშნეს. ამ დიდ უსამართლობაში დიდი წვლილი მიუძღვის რუსეთის ბიუროკრატის და იმდროინდელ სასამართლოს სწორედ მათი დიდი მცდელობით ავალიმვილების ყმების ნასახლარებზე უკრაინიდან მეფის რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ამხედრებული კაზაკები, დუხობურები და სექტანტები ჩამოასახლეს, რაც რუსიფიკაციის კლასიკური მაგალითია. ჩამოსახლებულების დიდი ნაწილი უკან გაბრუნდა, ნაწილი სხვადასხვა რეგიონებში განსახლდა, დანარჩენი ჩამოსახლებულები ბორჯომის სოფლებში - თორში, ბაკურთანში, ნაღვერში, თისელში, აწყურში განსახლდნენ და მშვიდობიანად შეერწყნენ ქართველობას.

რუსი კოლონიზატორების მიერ ბორჯომის დაპყრობის კლასიკურ მაგალითად გამოდგება მეორე ფაქტი, როცა ბორჯომის მინერალური წყალი, 1825 წელს ხელმეორედ აღმოჩენილად ჩათვალეს, არადა გენერლების თამაზ ორბელიანის და ტორმასოვის ჯარისკაცებმა მინწყლების საბადო 1810 წელს აღმოაჩინეს, მაგრამ ყოველმხრივ ცდილობდნენ, მინწყლის საბადოს აღმოაჩინებად გენერალი ტორმასოვი და რუსი ჯარისკაცები დაესახლებინათ და ტომოგრაფიულ

რუქებზეც ამ თარიღით იყო შეტანილი, ხოლო ქართველთა წვლილი მინწყლის აღმოჩენაში დაივიწყეს.

ზაზაგასამთ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მეფის რუსეთი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ბორჯომისადმი, რასაც ხელი შეუწყო მეფისნაცვლების ეგენი გოლოვინის, მიხეილ ვორონცოვის და მიხეილ რომანოვის დიდი დაინტერესებამ ბორჯომის ხეობისადმი.

ჯერ კიდევ 1829 წელს გორის გრენადერთა პოლკის უფროსი პოპოვი პირველი პაციენტი იყო, რომელიც ბორჯომის მინწყლის პროცედურებით განიკურნა. პოლკის ექიმი ამიროვი დიდხანს მკურნალობდა ბორჯომში ავადმყოფ რუს ჯარისკაცებს, მან დეტალურად აღწერა მინწყლის სამკურნალო თვისებები და პირველი სინჯები სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში გააგზავნა ლაბორატორიული შესწავლისათვის.

1841 წელს კავკასიის მთავარმართველმა ეგენი გოლოვინმა ავადმყოფი ქალიმვილი ბორჯომში ჩამოიყვანა სამკურნალოდ, რომელიც განიკურნა, ამ ფაქტის „პატივსაცემად“ ერთ წყაროს „ეკატერინეს“, მეორეს „ეგენის“ წყარო ეწოდა. იმავე წელს მინწყლების მიდამოებს მოიხსენიებდნენ „მესტერკოდ“ ანუ „საკურორტო ადგილად“. ერთი წლის შემდეგ ეგენი გოლოვინმა სპეციალური ბრძანება გამოსცა ბორჯომში კურორტის მოწყობის შესახებ და დაიხყო მისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

1853 წლისათვის ბორჯომში იყო ხის ორი გალერია, ერთი ეკლესია, ხაზინის 9 შენობა, 24 საეჭრო დუქანი, ჯარისკაცების 10 საცხოვრებელი ყაზარმა, იმავე წლის 17 აპრილის ბრძანებით ბორჯომი დაბად გამოცხადდა. ბორჯომის სწრაფი ზრდის მიზნით იმპერიული მეფის რუსეთის მოხელეები უპირატესობას არაქართველ მოსახლეობას ანიჭებდნენ, (ქართველი თავადაზნაურობა ბორჯომში მინის ნაკვეთებს მხოლოდ სააგარაკო მიზნისთვის იღებდნენ).

ბორჯომის მინწყლის პოპულარიზაციაში და კურორტის თანდათანობით ზრდაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს, რომლის საქართველოში მოღვაწეობისას ბევრი რამ სასიკეთო რამ გაკეთდა (ვორონცოვი და რომანოვი განსაკუთრებული პროგრესული საქმიანობით გამოირჩეოდნენ საქართველოში). 1854 წელს ვორონცოვი გაიხვეს კავკასიიდან, ამასთან 1853-1856 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის (ყირიმის ომი, რასაკვირველია ასეთი სიტუაციაში ბორჯომისათვის არავის ეცალა და ბორჯომის განვითარებაც საგრძობლად შეფერხდა.

1854 წელს პირველად პრიმიტიული წესით ჩამოასხეს 1300 ბოთლი „ბორჯომი“ და თბილისში წაიღეს გასაყიდად.

1854-1858 წლებში მნიშვნელოვანი ბევრი არაფერი მომხდარა ბორჯომის ცხოვრებაში. 1858 წლის 1 ივნისის მონაცემებით ბორჯომში 415 ადამიანი ცხოვრობდა, მათ შორის დროებით მაცხოვრებელი 236 პირი და დანარჩენი სამხედროები და მათი ოჯახები იყვნენ. დროებით იყო 41 სული ახლომდებარე სოფლებიდან, 7 ხელოსანი რუსეთიდან. ასეთია მოკლედ ბორჯომის ისტორია XIX საუკუნის 50-იან წლებამდე. მომდევნო წერილებში შემოგთავაზებთ XIX საუკუნის 50-იან წლებიდან 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე, საბჭოთა პერიოდის ისტორიის წერილებს.

პალაიან ლომიძე

პულოცავით!

10 აპრილს **გიორგი (გომი) მებრძოლს** 80 წელი შეუსრულდა, იგი სოფელ საკირეში ზაქარია მეტრეველის მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. ტაძრისის საშუალო სკოლის დამთავრებისა და საბჭოთა არმიის სამსახურის შემდეგ 1966 წელს რაიონის ხელმძღვანელობამ შრომისმოყვარე ახალგაზრდა კომკურა ამნის მემანქანის შემსწავლელ ექვსთვიან კურსებზე გააგზავნა, მისი დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა რაიონს და მუშაობა დაიწყო ბორჯომის ბაზა მემანქანაში კომკურა ამნის მემანქანედ. იმ წლებში შენდებოდა შვიდსართულიანი ბინები, პლატოზე კომპოზიტორთა სახლი, ლიკანში ყველისა და რძის ქარხანა, ერეკლეს ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლი და სხვა. ყველგან, სადაც იმუშავა გამოიჩინა მაღალი პასუხისმგებლობით და თავაზიანობით. აქტიური შრომისათვის დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით.

80 წლის მოხუცი თბილად იხსენებს ახალგაზრდობის წლებს. ჰყავს შესანიშნავი მეუღლე ციური ბითაძე. მოხუცები ხარობენ ორი ვაჟსა და ოთხ შვილიშვილს და ოთხ შვილთაშვილს. დიდხანს სიცოცხლეს ვისურვებთ ქვეყნის წინაშე ვალდებული პიროვნებას და ვულოცავთ დაბადების 80 წლისთავს.

გომია ბიძიას

ოთხმოცი წლისა გამხდარა, ჩემი გომია ბიძია, საღამომი, პურადობაში მას ვერავინ ვერ სჯობია. შეხედავ, მოგეწონება ამაყი, ფერხორციანი, ცოლი ჰყავს - გულ ბიცოლა, მოსიყვარულე, ჭკვიანი. პატარძლებსაც კი აოცებს, სუფრასთან მისი ტრიალი! ის გვარის უხუცესია, აფასებს ნათესაობა. დიდხანს გვიცოცხლოს უფალმა, აღზარდოს ბევრი თაობა!

ლექსი მიუძღვნა ძმისშვილმა, ტაძრისის სკოლის მასწავლებელმა **ქობა მებრძოლმა**.



პოეზიის კითხვა

ჩემთვის სულ ერთია...

ორი მეგობარი გვერდიდან არ მშორდება, თან მომდევნ დედის მუცლიდან, სიცოცხლის დაბადებამ ყველა გაახარა, სიკვდილი - იქვე ჩუმად იცდის. მას შემდეგ, ერთი ცოტას თუ გამახარებს, მეორე იმწუთში თავს მახსენებს, მარჯვნიდან სიცოცხლე აღურსს თუ მიპირებს, იმნაირი მარცხნიდან მხედებს. მე კი არ მკითხვს არჩევანის გაკეთება, დაიჭირეს თანაბარი პოზიცია, ორივე მაიძულებს ერთნაირად მოვეფერო, იმნაირმა არსებობამ მომიჩინა.

ზოგჯერ პირველი უხეშად მემუქრება, მეორის გამარჯვებით მაშინებს, ჩემთვის სულ ერთია, რომელი რომელს სჯობნის, მხოლოდ ერთი აზრი მაქმნავს. გიჟივით ხარხარებს მკაცრი ბუღისნერა, ცდილობს ტყუილებით დამათროს, მოვედი? ამქვეყნად სიცოცხლემ რა მომცა? სიკვდილმა რა უნდა დამაკლოს? უსიტყვოდ მასმევენ ფილოს ტკბილს და მწარეს, განუყრელად გვერდით მყავით, ალავერდს გადმოვალ-სამივეს თანაბრად გაგვიმარჯოს ჩემო მეგობრებო!

„სხოპკაბაში ორი რამ მოდის უპირობად - სიკვდილი და სიყვარული... და აღაშინაბი ორივე ერთგანს წინაშე უძლური პარა“



ნ.ო. სარქიანი.

მადლობა ბორჯომის მერიას

სოფელ ყვიბისში ცხოვრობს ძალიან ყოჩაღი იმერელი ქალი - **ნანა ხაჩიძე**. ნანა ჩვენს ხეობაში გათხოვდა, დაზარდა და დააფრთხილა შვილები, შვილიშვილი სტუდენტი ყავს და მზე და მთვარე მასზე ამოსდის. არა, ყოჩაღი-თქო, რომ ვიძახი, მე-ცოტავესა ეს სიტყვა მისთვის. ნანა იმ ტიპის ადამიანებს ეკუთვნის, მუდმივად რაღაც საოცარი ენერჯით რომ არიან დამუხტულნი. იმერულად მკვირცხლი და შრომისმოყვარე, ენთუზიაზმით სავსე - ხან ერთ სამსახურში ტრიალებს ციბრუტივით, ხან მეორეში. ხანაც თავისი სანუკვარი იმერეთის გზას ადგას ნათესავ-ახლობლების მოსანახულებლად, ან აღდგომის დღესასწაულზე წინაპრების საფლავებზე გასასვლელად მიდის, ხანაც სამოგზაუროდ დაიარება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ან მეზობელი ქვეყნების ღირსშესანიშნაობების დათვალიერებით ტკება. ყველა სულიერზე ზრუნავს, ორფეხაზე და ოთხფეხაზეც. ხან ოჯახისთვის პროდუქტების მოსამარაგებლად გარბის, ხან თავის შინაურ ცხოველებს საკვებს უგროვებს.

ბით ვსაუბრობთ ხოლმე. რამდენიმე თვის წინ განსაცდელი ეხვია ამ არაჩვეულებრივი ქალის ოჯახს - ვერაგი დაავადდა დაუდგინდა მეუღლეს. უცნაურად თვალცრემლიანი იყო იმ დღეს ნანა, როდესაც მეუღლის მდგომარეობის შესახებ გვიყვებოდა - არც სასონარკვეთილი იყო და არც გატყუებული, სინაჟისა და სიმბრალულის იყო ის ცრემლები, თან ვაჟკაცური და თან მზრუნველი ქალის გული ვიგრძენი.

დროებით ვეღარ ვხვდები. გასაგებია ყველაფერი. მკურნალობენ, იმედოვნებენ. რამდენიმე დღის წინ მომწერა, ძალიან ემადლიერებოდა ბორჯომის მერიას მკურნალობის დაფინანსებისთვის. მისაღების გოგონებიც ძალიან ყურადღებიანები არიან, დაასვენა. მთხოვა, გაზეთის საშუალებით მიწადა მადლობა გადავუხადო. თავს უფლებს მივეცი და მადლობის მშრალი წერილის ფორმატი ოდნავ შევცვალე და ამით **ნანა ხაჩიძის** მიმართ თანადგომა და პატივისცემა გამოვხატე. ღმერთი მენსკენ, ნანა!

პატივისცემით
რუსუდან სხირბლაძე

ბორჯომი

20 ივნისი 2024 წელი 14 ივნისი შუბ პირთა უფლებების დაცვის დღე

თქვენ შეგხვედრიათ დედები ტკივილით სავსე თვალებით? ტკივილით, რომელსაც თვალს ვერ გაუსწორებ, რომელიც თავისდავე სიღრმეში ჩაგანრჩობს, არ შეგხვედრიათ, არა...

გინახავთ დედები 50 კილოიან შვილებს, ზურგზე მოკიდებულს რომ დაატარებენ ყოველდღე ექიმთან იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს გაივლის...

გინახავთ დედები 10 წელს გადაცილებულ შვილებს თვალებში და ენის წვერზე რომ უყურებენ, იქნებ როგორმე ორი სიტყვა გადაბან და წლობით ელოდებიან, როდის დაუძახებს შვილი „დედას“.

ვაი მათ ნებისყოფას და გამძლეობას...

გინახავთ დედები 99% უიმედობის დიაგნოზიდან, 1 იმედს რომ ებღაუჭებიან სასონარკვეთით? ან ის დედები გინახავთ შვილის უმწეო გამოხედვაზე, თვალებს რომ ხუჭავენ და ცრემლებს

ყლაპავენ... გინახავთ დედები საკუთარ ფრთამოტეხილ ანგელოზებს (შვილებს) ოცნებებში ფრენას რომ ასწავლიან?

არა, ალბათ არ გინახავთ, ან გინახავთ და ვერ შეგიძინებიათ მათ თვალებში დასადგურებული, დამძიმებული ცხოვრება.

უმეტესობა სწორედ ამას რომ ვერ ხედავთ და არ გამოგიცდიათ (ღმერთმანი არც მინდა, რომ გამოსცადოთ), მისთვის ცხოვრობთ წერილმანი კაპრიზებით დამძიმებულნი...

და მე გეუბნებით, სუუ... დატკბით შვილის ბედნიერი თვალებით და სიციქლით, მოთმინებას რომ გაკარგვინებთ ხშირად.

ვისურვებდი, მათ ისეთ საქართველოში ეცხოვროთ, რომ არ ჰქონდეთ ცხოვრების უფლება დასაცავი.

შირა ჭყარაშვილი.

ქალკაცი

მეზის მიღწევა შაქლით

ბორჯომის სპორტსკოლის დირექტორის ბატონ **ქალიზბარ სტაშინაძის** ინიციატივით და სამცხე-ჯავახეთის ჭადრაკის ფედერაციის დახმარებითა და ხელშეწყობით 14-15 ივნისს ბორჯომში (№3 საჯარო სკოლა) ჩატარდა სამცხე-ჯავახეთის გუნდური პირველობა მოსწავლე-მოჭადრაკეთა შორის. გუნდები დაკომპლექტებული იყვნენ 7-დან 16 წლამდე ასაკის ექვსი მოჭადრაკით (ოთხი ჭაბუკი, ორი გოგონა). შეჯიბრებაში მონაწილეობდა 6 გუნდი: ახალციხის (ორი გუნდი), ბორჯომის, ნინოწმინდის, ახალქალაქის და ადიგენის გუნდები. შეჯიბრება

წრიული სისტემით ჩატარდა. შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ სამცხე-ჯავახეთის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, რესპუბლიკის დამსახურებული მსაჯი ბატონი **ზაქარია დიდიმამიშვილი**. ბორჯომელთა გუნდში თამაშობდნენ ვაჟები: **გიორგი მესხი, საბა ლომსაძე, დათო მესხი, გოგონები ბარბარე და ელენე შონიები**.

პირველ ტურში ბორჯომელები შეხვედნენ ნინოწმინდელებს. შეხვედრა დამთავრდა ფრედ - 3:3. I დაფაზე **გიორგი მესხი** იგებდა, მაგრამ მეცდა და პარტია წააგო. ბორჯომელები

მხოლოდ ახალციხე - I-თან დამარცხდნენ 2:4. მოიგო ბარბარე, ყაიმი დაამთავრეს გიორგიმ და თეამ.

პირველი ადგილი წილად ახალციხის I გუნდს 24,5 ქულა, მეორე - ნინოწმინდას - 20 ქულა, მესამე ბორჯომის გუნდს - 18,5 ქულა.

გამარჯვებულ გუნდს გადაეცა თასი, აგრეთვე მედლები და სიგელები. აღსანიშნავია, რომ გოგონებში I დაფაზე ბარბარე მონიანთ ყველა პარტია მოიგო. თავიანთ დაფებზე არც ერთ მოჭადრაკეს ასეთი აბსოლუტური შედეგისათვის არ მიუღწევია. ბარბარე დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით.

უშანგი ჯანგირაშვილი. მწვრთნელი, შეჯიბრების მსაჯი.

მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კიკაული

მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კვირეულს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები დიდი ემოციებითა და სახალისო აქტივობებით გამოემზადნენ. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მოკლე ვიდეო კოლაჟების კამპანიამ სოციალური ქსელი მოიცვა.

მეტად სასიამოვნო და გასათვალისწინებელი გახლდათ თითოეული მოსწავლის სიტყვა - **მე, რომ მასწავლებელი ვიყო...** მათი სურვილების მოსმენა ამჯერად არა მხოლოდ მასწავლებლებმა, არამედ სრულიად საქართველომ შეძლო.

- საინტერესო, სახალისო, სითბოთი და სიყვარულით სავსე კამპანია მიმდინარეობს სოციალურ ქსელში, პროფესია - მასწავლებელი, - ამ სიტყვებით გამოემზადნენ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ნ.ო. ლომია** მიმდინარე კამპანიას.

სათქმელი ღიად და პირდაპირ მივიდა ადრესატებამდე - **„მე და ჩემი მასწავლებელი“**, **„მე მასწავლებელი“**, **„წერილი მასწავლებელს“**, **„რას უსურვებდით მასწავლებელს?“**, **„მადლობა მასწავლებელს“**.

დეგრის საჯარო სკოლამ



მოსწავლეებს შესთავაზა განსხვავებული სახალისო აქტივობა **„გამოიცანი მასწავლებელი 3 ემოციით“**, რომელიც კრეატიულობასა და თანამედროვეობას უშუალოდ პასუხობდა.

„შინაური გაკეთილი“ ჩატარდა ბორჯომის №4 საჯარო სკოლაში. აქ მასწავლებლებმა მოსწავლეების როლი მოირგეს, - როგორც შევძელით ისე „ვიცელქეთ“, ცოტა ხნით დავბრუნდით ბავშვობაში, - წერდნენ მასწავლებლები.

ბაკურიანის საჯარო სკოლამ კი შემოგვთავაზა „სურვილების დაფა“ მასწავლებლის მაკეტის თანხლებით, ამასთან აქტივობა

„გამოიცანი“ და ასე ცდილობდნენ ერთმანეთის გამოცნობას თვალახვეული მოსწავლეები და მასწავლებლები.

ჭობისხევის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა საინტერესო გიფი შექმნეს, თემით **„მე და ჩემი მასწავლებელი“**.

რეგლის საჯარო სკოლაში დილა უჩვეულოდ დაიწყო, მოსწავლეებმა მოირგეს დირექტორის, საგნის მასწავლებლების, მორივე მასწავლებლის როლი, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ და წარმატებითაც გაართვეს თავი წარმოდგენილ სახალისო გაკვეთილებს.

ეს მცირე ჩამონათვალია, იმ აქტივობებისა, რომლებიც ბორჯომის სკოლებში მთელი კვირის განმავლობაში დიდი გამოხმაურებით მიმდინარეობდა. ამ პოზიტიური და მრავალი სათქმელი დასრულდა სასწავლო პროცესი მოსწავლეებისთვის. ბედნიერ, ნაყოფიერ, თბილ და მზიან არდადეგებს გისურვებთ ახალი ძალებითა და იმედებით სავსე დაბრუნებოდეთ ახალ სასწავლო წელს.

იზა იანვაკაშვილი

შვილები ზოია, ჟენია, ლავრენტი, ნათია, რძალი მაია აინურაძე, სიძე გელა ნარიაშვილი, შვილიშვილები, შვილთაშვილები, ძმისშვილები ღრმა მწუხარებით იუნყებიან, რომ გარდაიცვალა **პაპო (პაპაი) თოფურიანი** დაკრძალვა 20 ივნისს 2 საათზე, სოფელ საკირეში.



გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59 რედაქციამ შეიმუშავა გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდნენ. მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20. WWW. colorgroup.ge borjomi@inbox.ru რედაქტორი: პალერინა ლომია ნომრის პასუხისმგებელი მორიგე ნატო გელიძე კორექტორი ნანა კევიციანი